საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 5459
16/12/2019

ზუგდიდი
5459-02-4-201912161229

მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52–ე მუხლის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^2 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით, გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი გოგი რევია.
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (http://zugdidi.gov.ge/) გამოქვეყნება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90, ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 ელ.ფოსტა:: zugdidismeria@gmail.com